ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 29 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 29 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა 10-კაციანი სია (იხ. დანართი 1) და მათი საბჭოს წევრებად გახდომის უფლებამოსილების ცნობა სთხოვა საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებმა ერთხმად ცნეს მათი უფლებამოსილება.

ამრიგად, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 38 წევრი, აქედან სხდომას ესწრებოდა 24 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გ.ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ. ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები „მათემატიკა“, „ფიზიკა“, „ქიმია“, „ბიოლოგია“, „გეოგრაფია“, „ქიმია“ (ინგლისურენოვანი), „კომპიუტერული მეცნიერება“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“, „კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)“; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გამოყენებითი ფიზიკა“ და „ბიოლოგია“. პროგრამების ცვლილებების საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ოპტიმიზაცია, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასთან შესაბამისობა და ტექნიკური უზუსტობების გასწორება (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 2).

კენჭისყრის შედეგები: საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2) შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები „მათემატიკა“, „ფიზიკა“, „ქიმია“, „ბიოლოგია“, „გეოგრაფია“, „ქიმია“ (ინგლისურენოვანი), „კომპიუტერული მეცნიერება“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“, „კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)“; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გამოყენებითი ფიზიკა“ და „ბიოლოგია“.

2. მოისმინეს: ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა ემსჯელათ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში გათვალისწინებულ ცვლილებებისა და დამატებების პროექტში ფაკულტეტის საბჭოს მხრიდან შესატან ცვლილებებზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ. ძიძიგურმა, ნ. შათაშვილმა. მათ აღნიშნულ საკითხზე ისაუბრეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში სადისერტაციო საბჭოსთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერების ჭრილში (მუხლი 30, პ.3) და წინადადება შემოიტანეს, რომ მიზანშეწონილია ისევ დავუბრუნდეთ დარგის/სპეციალობის მიხედვით შექმნილ სადისერტაციო საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება ამ საკითხს მოგვიანებით ცალკე უყარონ კენჭი.

ა) საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების შესახებ (იხ. დანართი 3).

კენჭისყრის შედეგები: წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს 23 წევრმა, წინააღმდეგი - 1.

დაადგინეს: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში გათვალისწინებულ ცვლილებებისა და დამატებების პროექტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება (იხ. დანართი 3):

1. (ცვლილება ა) მე-2 მუხლს მე-3 პუნქტის შემდგომ ჩასამატებელ მე-4 პუნქტს ბოლოში დაემატოს ერთი ფრაზა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებისას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის/შედიან პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის მიერ შერჩეული შესაბამისი დარგის წარმომადგენელ(ებ)ი /სპეციალობის მქონე პირ(ებ)ი, თუ აღნიშნული განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.“

2. მთლიანად ამოღებულ იქნას ცვლილება ვ).

ბ) მოისმინეს: საბჭოს წევრებმა დააყენეს საკითხი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირების აღდგენის შესახებ. პროფესორმა დიანა ძიძიგურმა საბჭოს წევრებს შეახსენა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მულის 30- შემდეგი პუნქტები: 30. 1. <u>სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო;</u> 30.3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში <u>ან ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში</u> <u>შესაბამისი</u> <u>დარგის /სპეციალობის</u> მიხედვით იქმნება სადისერტაციო საბჭო. 30.5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სადისერტაციო საბჭო შედგება ძირითადი საგნმანათლებლო ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან და ა.შ. და ხაზი გაუსვა, რომ დღეს მომქმედი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები არ შეესაბამება ამ მუხლებში გაწერილ *მოთხოვნებს.*

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ის სირთულე, რაც გამოწვეულია (საკანონმდებლო დონეზე) თსუ-ში მხოლოდ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებით, კერძოდ, თსუ-ს წესდებაში წარმოდგენილია მხოლოდ ასეთის არსებობა და ფაკულტეტზე, და რაც მთავარია, **თითოეული დარგის/სპეციალობის მიხედვით სადისერტაციო საბჭოს არსებობის საკითხი საერთოდ არ განიხილება.** ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხზე აზრის გამოთქმა. საბჭოს წევრებმა აღნიშნულ საკითხზე ისაუბრეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში სადისერტაციო საბჭოსთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერის ჭრილში (მუხლი 30, პ.3) და წინადადება შემოიტანეს, რომ მიზანშეწონილია ზსმფ-ზე ისევ დავუბრუნდეთ დარგის/სპეციალობის მიხედვით შექმნილ სადისერტაციო საბჭოებს, რადგანაც რეალურად ფაკულტეტზე 8 დარგია წარმოდგენილი და მათი წარმოდგენა, მითუმეტეს ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის სახით, საუნივერსიტეტო საბჭოში არ ხორციელდება, რაც კონკრეტულ დარგში დოქტორის ხარისხის მინიჭებას ამ უკანასკნელის მხრიდან ფორმალობად აქცევს. კამათში მონაწილეობა მიიღეს და აზრი დააფიქსირა ფაკულტეტის საბჭოს თითქმის ყველა წევრმა (მათ შორის სტუდენტებმაც). ყველანი თანხმდებოდნენ, რომ დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების მუშაობა ბევრად უფრო გამართლებული იქნებოდა დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის (რომელიც კანონმდებლობით სწორედ დარგის/სპეციალობის მიხედვით მიენიჭება) ვიდრე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე ფაკულტეტთან 2018 წლამდე არსებული დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირების აღდგენისა და ამისთვის უნივერსიტეტის წესდების შესაბამისობაში მოსაყვანად ცვლილებების განსახორციელებლად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი 30, პ.3).

კენჭისყრის შედეგები: წინადადება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა აღდგეს ფაკულტეტთან არსებული დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი 30, პ.3), რისთვისაც უნივერსიტეტის წესდებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე, მიმდინარე საკითხები.

ა) დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად გააცნო ინფორმაცია კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების ი.პარშუტკინის, დ.კობრავას და ლ.ცინცაძის, ასევე მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის თ.მგელაძის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: *<u>კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:</u>*

- დოქტორანტ **ირაკლი პარშუტკინს** სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „შოკეს ინტეგრალზე დაფუძნებული აგრეგირების ოპერატორები საგანგებო სიტუაციების მართვის მრავალატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მოდელებში“, ხოლო ხელმძღვანელად - პროფესორი გია სირბილაძე;
- დოქტორანტ **დავით კობრავას** სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „მონტე კარლოს უკუმეთოდზე დაფუძნებული არასაკმარისი მონაცემების გენერირების მეთოდის შემუშავება ბიზნეს ანალიტიკისათვის“, ხოლო ხელმძღვანელად - პროფესორი მანანა ხაჩიძე;
- დოქტორანტ **ლევან ცინაძეს** სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „სტატისტიკური სწავლების ალგებრული მოდელები“, ხოლო ხელმძღვანელად - პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე.

<u>მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:</u>

- დოქტორანტ **თინა მგელაძის** სადისერტაციო თემის სათაური ,,ამერიკული სპრედ ოფციონების ფასდადება და ჰეჯირება“ და ხელმძღვანელები მალხაზ შაშიაშვილი და გია სოხაძე შეიცვალოს - თემის სათაურად დამტკიცდეს „არაპარამეტრული გულოვანი კლასიფიკაცია”, ხოლო ხელმძღვანელად - ასისტ. პროფ. ბესიკ ჩიქვინიძე.

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად გააცნო ინფორმაცია ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ახალი თანამშრომლების მიღების შესახებ (ანაზღაურების გარეშე).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ახალი თანამშრომლების მიღების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მიღებულ იქნეს (ანაზღაურების გარეშე):

- უფროსი მეცნიერ- მკვლევარის პოზიციაზე - დოქტორი **ტივადარ ფარკაში** - კომპანია Phenomenex Inc.-ის (ტორანსი, კალიფორნია, აშშ) კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოფილი მენეჯერი;
- უფროსი მეცნიერ- მკვლევარის პოზიციაზე - დოქტორი **პაოლა პელუსო** - იტალიის კვლევების ასოციაციის სასარის ბიომოლეკულური გამოცნობის ინსტიტუტის (სასარი, იტალია) მეცნიერ თანამშრომელი.

გ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად გააცნო ინფორმაცია უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახალი თანამშრომლების მიღების შესახებ (ანაზღაურების გარეშე).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახალი თანამშრომლების მიღების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიღებულ იქნეს (ანაზღაურების გარეშე):

- ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე - **ალექსანდრა ნატროშვილი,** თსუ ზუსტ ად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი;
- ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე - **ნინო ცუცქირიძე,** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

დ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ინფორმაცია სერვისებთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ. კერძოდ, გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა დანართში: „ა“ სახელფასო კატეგორიის დანართი #3. „სერვისების კომპონენტის საათობრივი იდენტიფიკაცია“.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სერვისებში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: „ა“ სახელფასო კატეგორიის დანართი #3. „სერვისების კომპონენტის საათობრივი იდენტიფიკაცია“ მოხდეს ცვლილებები და დამატებები. კერძოდ,

დაემატოს:

34 . ინდივიდუალური კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა – 2 (ორიგინალური) და 1 (რეფერატული), იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;

35. თსუ-ს სხვა ფაკულტეტის სავალდებულო დისციპლინაზე სერვისის ხელმძღვანელობა/ კოორდინირება (შუალედური და ფინალური საგამოცდო ბილეთების შედგენა, კონსულტაციების ორგანიზება, პედაგოგთა მოწვევა და ცხრილის შედგენა, საგამოცდო ნაწერების გასწორებისა ორგანიზება, სააპელაციო ნაშრომების გასწორება და ა.შ.) -- 2, იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;

ხოლო

36. სტუდენტთა გუნდის ხელმძღვანელი/მწვრთნელი საერთაშორისო ოლიმპიადისთვის -- 4, იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე.

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

18. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა, სხდომების განრიგი წინასწარ განსაზღვრულია მთელი სემესტრისთვის, სხდომა დაანონსებულია ფაკულტეტის ვებ გვერდზე - 2.

ე) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ დასამტკიცებლად გამოიტანა საკითხი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ 2023 მწელს შესრულებული სამუშაოს შეფასების შესახებ (დანართი 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დამტკიცების მოწვეული პერსონალის მიერ 2023 მწელს შესრულებული სამუშაოს შეფასების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ 2023 მწელს შესრულებული სამუშაო ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი